საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7195/01
29/07/2020

7195-01-2-202007291126

შპს „საქართველოს უნივერსალურ ჯგუფს“

მის: ქ. თბილისი, ზაზა ფანასკერტელის ქ. N23, ბინა N5

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 17 ივლისის N11049 წერილი, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდისწყაროში მეორადი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ” ქვეპუნქტის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ, რაც წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ არის ასახული;
- წარმოდგენილ Shape ფაილებში მოცემულია მხოლოდ საპროექტო შენობა. წარმოდგენილი არ არის დამხმარე ნაგებობები, რეზერვუარების განთავსების ტერიტორიები და სხვა. შესაბამისად, Shape ფაილები საჭიროებს კორექტირებას. ამასთან გაცნობებთ, რომ Shape ფაილებში წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის გარეთ დაახლოებით 19 კმ-ში მოცემულია (მონიშნულია) სხვა ტერიტორიებიც, შესაბამისად დასაზუსტებელია აღნიშნული საკითხი რა კავშირშია საპროექტო ტერიტორიასთან;
- ასევე ვერ ხერხდება ტერიტორიის იდენტიფიცირება გზშ-ის ანგარიშში მოცემული GPS კოორდინატებით;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დანიშნულებით: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად; არასასოფლო-სამეურნეო კულტურების (კოინდარის, ყვავილების, ეთერზეთების საწარმოებელი მცენარეების, სამედიცინო მცენარეებისა და სხვა კულტურების) მოსაყვანად; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობისათვის (ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის, პირუტყვის გადასარეკი ტრასისა და მოსასვენებელი მოედნის, შიდასამეურნეო გზის და სხვა ფუნქციით); სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის ან/და სასწავლო

საქმიანობისათვის; საკარმიდამოს ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად. ამ მიწის ნაკვეთზე შეიძლება განთავსებული იყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობა ან/და დამხმარე ნაგებობა. ამასთან, ზემოაღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი“ უზუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე